



ბიზნესის სკოლა ESM

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება ოპერაციების მენეჯმენტში

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ოპერაციების მენეჯმენტში

სწავლების მოცულობა კრედიტებით

120 ECTS

სწავლების ენა

ქართული

სამაგისტრო პროგრამის მიზანი

ოპერაციების მენეჯერი არის პოზიცია, რომელიც პასუხისმგებელია საქონლისა თუ მომსახურების წარმოების სრულ ციკლსა და პროდუქციის მომხმარებელამდე ეფექტიანად მიწოდებაზე.

მისი ამოცანაა ემეზოს წარმოებისა და მიწოდების საუკეთესო გზები და იზრუნოს ბიზნესის პროცესების გაუმჯობესებაზე.

ამისათვის, ოპერაციების მენეჯერი თვალ-ყურს ადევნებს და აანალიზებს ბიზნესის ყოველდღიურ პროცესებს, აწესებს ხარისხის მართვის სტანდარტებს და კონტროლის მექანიზმებს, მუდმივ ძიებაშია ახალი ტექნოლოგიებისა და ზრუნავს ეფექტურობის გაუმჯობესების სხვადასხვა გზებზე.

თავისუფალი უნივერსიტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ოპერაციების მენეჯმენტში მიზანია საშუალო და მაღალი რანგის მენეჯერებს და ანალიტიკოსებს/კონსულტანტებს შეუქმნას გარემო, სადაც ისინი შეძლებენ, როგორც შეისწავლონ ოპერაციების მენეჯმენტი და მისი შემავსებელი დისციპლინები, გაიღრმავონ ბიზნეს-გადაწყვეტილებების და ბიზნესის მართვის ინსტრუმენტების თეორიული ცოდნა, შეიძინონ უკეთესი უნარები კონტექსტის შეფასებისათვის, ასევე უპასუხონ პრაქტიკაში დასმულ ამოცანებსა და გამოწვევებს.

პროგრამა ორიენტირებულია საშუალო და მაღალი თანრიგის პრაქტიკოს მენეჯერებზე და ბიზნეს-ანალიტიკოსებზე/კონსულტანტებზე.

შესაძლო დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები გააგრძელებენ მუშაობას ოპერაციების მენეჯერის პოზიციაზე, უფრო მაღალი თანრიგის/რანგის მენეჯერებად და ბიზნეს-ანალიტიკოსებად/კონსულტანტებად უკეთესი კარიერული წინსვლის პერსპექტივით, შეძლებენ პროექტების მართვას და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას. შეძლებენ ბიზნესის წამოწყებას და მართვას როგორც პარტნიორები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაიშვებიან მსურველები კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და შიდა ტესტირების შედეგების საფუძველზე. კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროგრამაზე პირი შეიძლება ასევე ჩაირიცხოს მობილობის წესით.

სწავლის შედეგები (კომპეტენციები)

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ზოგადი კომპეტენციები

- პრობლემების იდენტიფიცირების და ამოცანების დასმის უნარი
- პრობლემებისა და ამოცანების პრიორიტიზირების უნარი
- იცის ლიდერობის პიროვნული საფუძვლები და საკომუნიკაციო ინსტრუმენტები
- ჯგუფში მუშაობისა და გუნდის მართვის უნარი
- აქვს კომუნიკაციის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი
- კარგად ფლობს მათემატიკური და ეკონომიკური ანალიზის მეთოდებსა და ტექნიკებს

დარგობრივი კომპეტენციები

- აქვს ბიზნესის მნიშვნელოვანი ფუნქციონალური სფეროს - ოპერაციების მენეჯმენტის და მისი შემავსებელი დისციპლინების ღრმა და სისტემური ცოდნა
- შეუძლია საბაზრო პროცესებზე დაკვირვება, ახსნა, ანალიზი, პროგნოზი
- ფლობს სათანადო ტექნიკებსა და ინფორმაციას იმისათვის, რომ შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა და საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომა

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ ექვს კრიტერიუმს.

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ექნება სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს, კერძოდ:

- ბიზნეს-გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ცოდნა
- საფინანსო ინფორმაციის აღქმის, მომზადების წესები, მეთოდები და მიდგომები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით
- ბიზნესში წარმოქმნილი დანახარჯების სტრუქტურების სრულფასოვანი ცოდნა
- სხვადასხვა ტიპის ბიზნესის ბიუჯეტირების პროცესის ღრმა ცოდნა
- კომპანიის ღირებულების გაზრდაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ცოდნა
- საინვესტიციო პროექტების შეფასების თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ცოდნა
- მარკეტინგული კონცეფციების როლის ბიზნესის მართვის პროცესში და მათი დაგეგმვის მეთოდების ცოდნა
- ტაქტიკური და სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხების ღრმა ცოდნა
- გააცნობიერებს ბიზნეს-გარიგებების კომპლექსურობას, ტიპოლოგიასა და ბუნებას
- ადამიანური რესურსების მართვის პრინციპების ფუნდამენტური ცოდნა
- სერვისისა და წარმოების ოპერაციების დიზაინის, პროცესების დაგეგმვის, კონტროლისა და გაუმჯობესების ტექნიკების ცოდნა
- გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორების ცოდნა
- გააცნობიერებს მათემატიკური მოდელების მნიშვნელობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- ახალი პროდუქტისა და შესაბამისი პროცესების განვითარების პრინციპების ცოდნა
- საწარმოო კომპანიის განლაგებისა და ფართის დაგეგმარების ტექნიკების ცოდნა
- გააცნობიერებს ხარისხის მართვისა და პროცესების სტატისტიკური კონტროლის მნიშვნელობას
- რეინჟინერინგის ძირითადი ასპექტების ცოდნა
- ხარისხის მენეჯმენტის პრინციპების ცოდნა
- კვლევის სხვადასხვა მეთოდის ცოდნა

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძებს ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებას; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას, მათ

შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კერძოდ:

- შეძლებს ხარჯთაღრიცხვაზე დაყრდნობით სწორი ტაქტიკური თუ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას
- შეძლებს საოპერაციო და საფინანსო ბიუჯეტის შედგენას
- შეძლებს საინვესტიციო პროექტის შეფასებას
- შეძლებს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას
- შეძლებს ბიზნეს-გარიგებების დაგეგმვას და წარმართვას
- შეძლებს მარკეტინგული თეორიისა და კონცეფციების გამოყენებას პრაქტიკაში
- შეძლებს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება ადამიანურ რესურსთან მიმართებაში
- შეძლებს პროექტის მენეჯმენტის სრული ციკლის განხორციელებას/გაძლიერებას
- შეძლებს საწარმოო და მომსახურების ოპერაციების დიზაინის, დაგეგმვის კონტროლისა და გაუმჯობესების პროცესების მართვას
- შეძლებს მოდელირების კონცეფციების პრაქტიკაში გამოყენებას
- შეძლებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში კომპიუტერული სიმულაციებისა და ალგორითმების პრაქტიკულ რეალიზაციას
- შეძლებს ბიზნესის ეფექტიანობის საზომების ჩამოყალიბებას და კლასიფიკაციას
- შეძლებს ხარისხის სისტემების დიზაინის შემუშავების პროცესის წარმართვას, კონტროლის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას
- შეძლებს კვლევის ჩატარებას

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, კერძოდ:

- შეძლებს სტატისტიკური მოდელების შექმნას და არსებული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას მათი მეშვეობით
- შეძლებს ბიზნესის ამოცანების Excel-ში მოდელირებას
- შეძლებს საბაზრო პროცესების დინამიკის ახსნას და გრაფიკულად მათ ანალიზს
- შეძლებს ბაზარზე ფასებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინდიკატორების ცვლილებებზე დაკვირვებას, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენას და ანალიზს
- შეძლებს სტანდარტული ტიპის პროგრამული პაკეტების გამოყენებით მათემატიკურ და ეკონომიკურ ანალიზს

- შეძლებს პრეზენტაციების და ბიზნეს-კომუნიკაციის შეფასებას და დასკვნების გამოტანას
- შეძლებს ხარჯთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემების ანალიზს
- ექნება რაოდენობრივი და ხარისხობრივი უნარ-ჩვევები სხვადასხვა მენეჯერული თუ საოპერაციო პრობლემების დასადგენად
- შეძლებს მიღებული შედეგების გაანალიზებას და შესაბამისი სტატისტიკური დასკვნების გაკეთებას
- შეძლებს მიკრო და მაკროეკონომიკური თეორიების ბაზრის ანალიზს
- შეძლებს ფინანსური რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მართვას
- ექნება კრიტიკული ანალიზის უნარი
- ექნება ხარისხის მართვის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის უნარი
- შეძლებს გადაწყვეტილების შედეგად მიღებული რეზულტატების ანალიზს

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, კერძოდ:

- ექნება გუნდში მუშაობისა და მართვის უნარი
- შეძლებს ბიზნეს-გარიგებებზე კომუნიკაციის წარმართვას
- შეძლებს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე კომუნიკაციის წარმართვას
- ექნება ინტერპერსონალური ურთიერთობების მართვის უნარი
- შეძლებს ინვესტორებთან კომუნიკაციას
- დაეუფლება პრეზენტაციის ეფექტური წარმართვის ტექნიკებს და სიტყვით გამოსვლისას აუდიტორიის მართვის უნარს

სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებას და მაღალ დონეზე სტრატეგიულად დაგეგმვას, კერძოდ:

- ექნება სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- ექნება შესაბამისი რესურსებისა და წყაროების მოძიების უნარი

ღირებულებები

კურსდამთავრებული შეძლებს ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას, კერძოდ:

- გააცნობიერებს, გაიზიარებს თავისუფალი ბაზრის იდეებს
- გაიზიარებს საკუთრების უფლების პრიმატის პრინციპს
- გაიზიარებს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს
- ექნება განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი
- ექნება პროფესიული პასუხისმგებლობა
- გააცნობიერებს და გაიზიარებს ბიზნეს- და კორპორატიული ეთიკის პრინციპებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდი

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე და დოკუმენტებზე მუშაობის მეთოდი. წერიტი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები/პრეზენტაციები; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; თანამშრომლობითი სწავლება; სამაგალითო შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაშები დემონსტრირების მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

მეთოდები გამოიყენება ლექციის, სემინარის, თუ სხვა სახის მეცადინეობების დროს.

ლექტორი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, უფლებამოსილია სასწავლო პროცესში დააკონკრეტოს და გამოიყენოს ისეთი მეთოდები, რომელიც არის პროგრამაში, ან არ არის მითითებული ან/და, სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, არ გამოიყენოს პროგრამაში მითითებული სწავლისა და სწავლების რომელიმე მეთოდი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

1. ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

2. ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები.

სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

სასწავლო გეგმა და სემესტრული გეგმა პროგრამაში მოცემულია დანართის სახით, ხოლო კომპონენტების აღწერა - თანდართულ სილაბუსებში.

ადამიანური და მატერიალური რესურსი

თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით (იხილეთ დანართი).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ რესურსს. პროგრამა, ასევე, უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.